

მაინდსეტი და აკადემიური მოტივაცია მოზარდებში

ელენე კალატოზიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: განათლების ფსიქოლოგია

ხელმძღვანელი: მაია წერეთელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ელენე კალატოზიშვილი

20.06.2025

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს მაია წერეთელს, გაწეული დახმარებისთვის, თანადგომისთვის, რჩევა-დარიგებებისა და ამომწურავი პასუხებისთვის.

ასვე, მადლობას ვუხდი კვლევაში მონაწილე რესპოდენტებს, რომელთა გარეშეც ეს კვლევა ვერ იარსებებდა და სკოლის დირექტორებს, რომ მომცეს საშუალება სკოლებში კვლევა ჩამეტარებინა.

სარჩევი

1. აბსტრაქტი	5
2. შესავალი	9
3. ლიტერატურის მიმოხილვა	11
3.1 მაინდსეტი	11
3.2 მოტივაცია	12
3.3 მაინდსეტი და მოტივაცია	15
4. საკვლევი კითხვები და ჰიპოთეზები	17
5. მეთოდი	18
5.1 შერჩევა	18
5.2 პროცედურა	19
5.3 ინსტრუმენტები	19
5.4 მონაცემების დამუშავება	21
6. შედეგები	22
6.1 კორელაციური ანალიზი	22
6.2 რეგრესიული ანალიზი	24
7. მონაცემთა განხილვა	26
8. შეზღუდვები და სამომავლო გეგმები	30
9. დასკვნა	31
10. გამოყენებული ლიტერატურა	34
11. დანართი	38

აბსტრაქტი

სასკოლო განათლება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. სკოლაში მიღებული განათლება ცხოვრების ბევრ ასპექტზე ახდენს გავლენას, მათ შორის იმაზეც, რა დამოკიდებულება ექნება ადამიანს სწავლის და საკუთარი კოგნიტური უნარების მიმართ. სწავლის პროცესში მთავარი მოტივაციაა. ეს კვლევაც სწორედ იმას იკვლევს, რა მიმართება აქვს მაინდსეტს¹ (ანუ ადამიანის შეხედულებას/დამოკიდებულებას საკუთარი გონებრივი უნარების მიმართ) მოტივაციის სახეებზე, კერძოდ: შინაგან მოტივაციაზე, გარეგან მოტივაციასა და ამოტივაციაზე. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს სკოლის მოსწავლეებმა, 14-დან 17 წლამდე. კვლევა რაოდენობრივია, მონაცემები დამუშავდა SPSS პროგრამით, რეგრესიის გამოყენებით. შედეგები თითქმის სრულად განსხვავებულია ჩემს მიერ მოძიებული კვლევების შედეგებისგან. როგორც კვლევამ აჩვენა, მზარდი მაინდსეტი არ აღმოჩნდა შინაგანი მოტივაციის დადებითი პრედიქტორი. რისი ერთ-ერთი მიზეზიც ცრუ მზარდი მაინდსეტი² შეიძლება იყოს. მისი სოციალურ ნორმად ქცევა უბიძგებს მოსწავლეებს თავი მოაჩვენონ სხვებს, რომ მზარდი მაინდსეტი აქვთ. გარდა ამისა, ქართულ სკოლებში დიდი ყურადღება ექცევა შედეგს და არა პროცესს, რასაც ეროვნული გამოცდებიც უწყობს ხელს,

¹ მაინდსეტი არის რწმენა საკუთარი კოგნიტური შესაძლებლობების შესახებ. ამ ტერმინის ზუსტ, ქართულ განმარტებაზე არ არის შეთანხმება მიღწეული, ამიტომ გამოვიყენებ ტერმინს „მაინდსეტი“.

² მზარდი მაინდსეტის მქონე ადამიანები უფრო მეტად აღიქმებიან სოციალურად სასურველებად, ვიდრე ისინი, ვისაც ფიქსირებული მაინდსეტი აქვს. სოციალური სასურველობის გამო ადამიანები სხვებს აჩვენებენ თავს, რომ მზარდი მაინდსეტი აქვთ, თუმცა პრაქტიკაში ეს არ ვლინდება და შედეგად ყალიბდება ცრუ მზარდი მაინდსეტი.

აქედან გამომდინარე, ფერხდება მზარდი მაინდსეტისა და შინაგანი მოტივაციის ჩამოყალიბება.

ასევე, დადგინდა, რომ ფიქსირებულ მაინდსეტს არ აქვს სტატისტიკური მიშვნელობა შინაგან მოტივაციასთან მიმართებაში. კვლევამ ცხადჰყო, რომ ფიქსირებული მაინდსეტი გარეგანი მოტივაციის და ამოტივაციის უარყოფითი პრდიქტორია. შედეგი, რომელიც შესაბამისობაშია სხვა კვლევებთან, არის მზარდი მაინდსეტის და გარეგანი მოტივაციის მიმართება, რომელიც ასევე უარყოფითია. ამოტივაციისთვის კი, მზარდი მაინდსეტი არ წარმოადგენს სტატისტიკურად მნიშვნელოვან ცვლადს. სასურველია, მომავალ კვლევებში მეტმა რესპოდენტმა მიიღოს მონაწილეობა, თბილისისა თუ სხვა ქალაქების სხვადასხვა სკოლებიდან. ასევე საინტერესო იქნება, რა შედეგს გამოიღებს სკოლებში მზარდი მაინდსეტის შესახებ საინფორმაციო შეხვედრები.

საკვანძო სიტყვები: მზარდი მაინდსეტი, ფიქსირებული მაინდსეტი, შინაგანი მოტივაცია, გარეგანი მოტივაცია, ამოტივაცია.

Abstract

School education is important not only in Georgia but also beyond its borders. The education received in school influences many aspects of life, including a person's attitude towards learning and their cognitive abilities. Motivation is key in the learning process. This study specifically examines the relationship between mindset (i.e., a person's belief/attitude towards their mental abilities) and types of motivation: intrinsic motivation, extrinsic motivation, and amotivation. School students aged 14 to 17 participated in the study. The study is quantitative, and the data was processed using SPSS software with regression analysis. The results are almost entirely different from those of the studies I found. As the study showed, a growth mindset was not found to be a positive predictor of intrinsic motivation. One possible reason for this could be a false growth mindset, where its becoming a social norm encourages students to pretend to others that they have a growth mindset. Additionally, in Georgian schools, significant attention is paid to the result rather than the process, which is also facilitated by national exams. Consequently, the development of a growth mindset and intrinsic motivation is hindered. It was also found that a fixed mindset has no statistical significance in relation to intrinsic motivation. The study revealed that a fixed mindset is a negative predictor of extrinsic motivation and amotivation. A result that is consistent with other studies is the relationship between a growth mindset and extrinsic motivation, which is also negative. For amotivation, a growth mindset is not a statistically significant variable. It is desirable that more respondents participate in future studies, from various schools in Tbilisi and other cities. It would also be interesting to see what results informational meetings about growth mindset in schools would yield.

Key words: Growth mindset, fixed mindset, intrinsic motivation, extrinsic motivation, amotivation.